

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

მალხაზ ბაქრაძე

Malkhaz Bakradze

კომპანიის მართვა საინვესტიციო საქმიანობის

მოდელირების საფუძველზე

Managing of the Company on the Modeling based of
Investment Activity

საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

Educational programme: Business Administration

დისერტაცია წარდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

Thesis is presented for obtaining of the

PhD Degree in Business Administration

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2021

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მალხაზ ბაქრაძე

კომპანიის მართვა საინვესტიციო საქმიანობის
მოდელირების საფუძველზე

საგანმანათელო პროგრამა:
ბიზნესის ადმინისტრირება

დისერტაცია წარდგენილია ბიზნესის
ადმინისტრირების დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2021

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
დავით სიხარულიძე,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება
უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

დისერტაციის დაცვა შედგება გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის
სკოლის საატესტაციო - საექსპერტო კომიტეტის
სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ
რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში, თბილისი, ირინა ენუქიძის №3
(აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

სარჩევი

შესავალი	5
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	8
მეთოდოლოგიისა და კვლევის აღწერა	18
კვლევის შედეგები	20
განსჯა და მეცნიერული მიგნებები	36
რეკომენდაციები	37

შესავალი

კვლევის აქტუალობა. საერთაშორისო საწარმოების საინვესტიციო საქმიანობა საინვესტიციო პროექტების რეალიზებით ხორციელდება. ეფექტიანი საინვესტიციო პროექტები კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და მის წარმატებას განსაზღვრავს როგორც შიდა, ასევე საგარეო ბაზრებზე. თავის მხრივ, ეფექტიანი საინვესტიციო საქმიანობა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო პოტენციალსა და ადგილმდებარეობის უპირატესობაზე.

დღეისთვის საერთაშორისო საწარმოების, კერძოდ, მულტინაციონალური საწარმოების (მნს) საქმიანობამ, რომელიც დაკავშირებულია საინვესტიციო პროექტების რეალიზაციასთან პუი-ის განხორციელებით, განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში მრავალი ეკონომისტის ფართო ყურადღება მიიქცია. ეს აიხსნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსალოდნელი პოზიტიური ზემოქმედებით მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე.

აქედან გამომდინარე, დისერტაციაში გამოყენებულია ჯონან სკოტ-კენელის მოდელი, რომელიც გვთავაზობს ადგილობრივი დარგების მოდერნიზაციის გზებს და იყენებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სისტემას მიკრო დონეზე. მოდელი, აგრეთვე, ითვალისწინებს საერთაშორისო ფირმების საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის საშუალებით ადგილობრივი აქტივების გაფართოების ტიპურ პროცესს, შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წვლილს დარგის განვითარებაში - ანკლავური მდგომარეობიდან სრულ ინტეგრაციამდე.

სკოტ-კენელის საინვესტიციო მოდელი უკავშირდება უცხოური ფილიალის საინვესტიციო საქმიანობას, საკუთრების (O), ინტერნალიზაციის (I) უპირატესობებისა და ადგილობრივი ეკონომიკის (L) უპირატესობებს შორის ურთიერთქმედებას.

ნაშრომი კონცენტრირებულია არაპირდაპირ და პირდაპირ კავშირებზე, რომლებსაც უცხოური ფილიალები ადგილობრივ საწარმოებთან ქმნიან და რომელთა მეშვეობით მათ ადგილობრივი დარგის მოდერნიზაციაზე ზემოქმედება შეუძლიათ; ასევე, განსაზღვრულია ის ფაქტორები, რომლებსაც კავშირების ფორმირებაზე ზემოქმედება შეუძლიათ. ნაშრომში განხილულია ადგილობრივი მრეწველობის მოდერნიზაციის სკოტ-კენელის მოდელი, რასაც მოჰყვება საქართველოს მაგალითზე მისი გამოყენების შესაძლებლობის შეფასება. აქვე განიხილება მოდელი განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში. და ბოლოს, წარმოდგენილია რიგი შეკითხვები და ვარაუდი, რათა უფრო დაწვრილებით შევაფასოთ, თუ როგორ ზემოქმედებს საინვესტიციო პროექტები კომპანიების მართვის პროცესსა და ადგილობრივ მრეწველობაზე.

კვლევის მიზანია, საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის საფუძველზე შევაფასოთ საერთაშორისო საწარმოების მართვის პროცესი და მათი გავლენა ადგილობრივი აქტივების გაფართოებაზე საქართველოს მაგალითზე. კვლევა ეყრდნობა სკოტ-კენელის მიერ შემუშავებულ მოდელს.

კვლევის ამოცანები:

- გავაანალიზოთ უცხოელი და ქართველი მეცნიერების ნაშრომები;
- შევისწავლოთ ადგილობრივი საწარმოებისა და დარგების განვითარების გზები სკოტ-კენელის საინვესტიციო მოდელის გამოყენებით;
- შევიმუშავოთ კვლევის მეთოდოლოგია და განვსაზღვროთ მოცემული კვლევისათვის შესაფერისი მეთოდი;
- შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, მოვიძიოთ ინფორმაცია უცხოური კომპანიების საინვესტიციო საქმიანობის შესახებ და გავაანალიზოთ იგი.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის **ჰიპოთეზები**:

1. ადგილმდებარეობის უპირატესობა, კერძოდ, ქვეყნისა და დარგის მახასიათებლები განსაზღვრავს საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის ეფექტიანობას და კომპანიების წარმატებას ადგილობრივ ბაზრებზე.
2. ინვესტირების მოტივი იმოქმედებს ადგილობრივ საწარმოებთან კავშირების ფორმირებაზე. კონკრეტულად, ნაკლებად სავარაუდოა რესურსების მაძიებელი ინვესტიციის შედეგად კავშირის დამყარება; გაცილებით წარმატებული შეიძლება აღმოჩნდეს ეფექტიანობის, ბაზრის ან სტრატეგიული აქტივების მაძიებელი ინვესტიციები;
3. ადგილობრივ ბაზარზე ფილიალის მუშაობის ხანგრძლივობა დადებითად მოქმედებს კავშირების ფორმირებაზე;
4. ინოვაციებთან მიმართებით, არსებობს ორი შესაძლო სცენარი: 1. როდესაც ინოვაციას წერგავს სათავო ფირმა, უფრო მეტია საზღვარგარეთ შექმნილი რესურსების ინტერნალიზაციის გაგრძელების ინიციატივა; 2. როდესაც ინოვაცია ადგილობრივადაა შექმნილი ფილიალის მიერ, ან ადგილობრივ ფირმებთან ერთობლივად, უფრო მეტად სავარაუდოა, ადგილობრივი ფირმების პროცესში ჩართულობა კავშირების მეშვეობით ან გადადენის და კონკურენციის ეფექტების მეშვეობით;
5. ინოვაციის დანერგვა საქართველოში დაფუძნებული ფილიალის მიერ ან უცხოურ სათავო ფირმასთან ერთობლივად, დადებითად ზემოქმედებს კავშირების ფორმირებაზე.

ზემოთ წარმოდგენილი კვლევითი საკითხები და ვარაუდები კავშირების ფორმირების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ შემოწმებას საჭიროებს. გარდა ამისა, ემპირიული მონაცემები გვიჩვენებს, რომ როგორც პირდაპირი კავშირების ფორმირება, ასევე ადგილობრივ ფირმებზე ზემოქმედება დამოკიდებულია ადგილობრივი ფირმების შესაძლებლობებზე.

1. რაც უფრო მეტი შესაძლებლობები ექნებათ ადგილობრივ ფირმებს (შედარებითი ხელმისაწვდომობის, ფასის, ხარისხის, საიმედოობის და ტექნიკური დახვეწილობის თვალსაზრისით), მით უფრო დიდი იქნება დადებითი გავლენა კავშირების ფორმირებაზე;
2. რაც უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ ადგილობრივ ფირმებს, მიაწოდონ სტანდარტული/სპეციალიზებული მასალები უცხოურ ფირმას, მით უფრო მეტად ეფექტიანად განხორციელდება საინვესტიციო საქმიანობა და ექნება მეტი დადებითი ზემოქმედება კავშირების ფორმირებაზე.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

მულტინაციონალური საწარმოების განმასხვავებელი მახასიათებლები ვლინდება მიმღებ ქვეყნებზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზემოქმედების ანალიზის დროს. მშობელი ფირმიდან რესურსების უნიკალური ერთობლიობის უცხოურ ფილიალში გადატანამ შესაძლოა, გააუმჯობესოს ამ უკანასკნელის ეკონომიკური მაჩვენებლები ადგილობრივ ფირმებთან შედარებით; ასევე, მას შეიძლება გააჩნდეს არაპირდაპირი ეფექტის მოხდენის პოტენციალიც. ეს ნიშნავს, რომ იგი ფლობს ადგილობრივი ფირმების სიმძლავრეების განახლების პოტენციალს. თუმცა, ადგილობრივი დარგების მოდერნიზაცია დამოკიდებულია არა მარტო უცხოური ფილიალის საკუთრების („O“) უპირატესობებზე, არამედ მიმღები ეკონომიკის ადგილმდებარეობის („L“) სპეფიციკურ უპირატესობებზეც. საჭიროა ამ საკითხის უფრო დეტალურად განხილვა, ფირმების საინვესტიციო მოდელის, კერძოდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზემოქმედების შეფასებისას, განვითარებადი ქვეყნის კონტექსტში. როგორც წესი, განვითარებადი ქვეყნების სტრუქტურები ძალზე განსხვავდება იმ ქვეყნების სტრუქტურებისგან, რომლებიც კაპიტალის ექსპორტს ახორციელებენ.

სკოტ-კენელის საინვესტიციო მოდელი უკავშირდება უცხოური ფილიალის საინვესტიციო საქმიანობას, საკუთრების („O“), ინტერნალიზაციის „I“ უპირატესობებისა და ადგილობრივი ეკონომიკის „L“-უპირატესობებს შორის ურთიერთქმედებას. ეს მოდელი უზრუნველყოფს გარკვეულ მიმართულებას აღნიშნულ ნაშრომში საკვლევი ცენტრალური საკითხის განხილვისას, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: რა ზემოქმედებას ახდენს შემომავალი პუი ადგილობრივ მრეწველობაზე საქართველოში? შესაბამისად, კვლევის მიზანია, შევაფასოთ საერთაშორისო კომპანიების საინვესტიციო საქმიანობის მოდელი და მისი ზემოქმედება საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის განვითარებაზე; ამასთანავე, უნდა მოხდეს სკოტ-კენელის მოდელის შეფასება სხვადასხვა კონტექსტში.

მიმღებ ქვეყანაში დარგების მოდერნიზაციის სკოტ-კენელის საინვესტიციო მოდელის ანალიზი. თავის სადოქტორო დისერტაციაში ჯოანა სკოტ-კენელი გვთავაზობს ადგილობრივი დარგების მოდერნიზაციის მოდელს, რომელიც იყენებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სისტემას მიკრო დონეზე. მოდელი ითვალისწინებს ადგილობრივი აქტივების გაფართოების ტიპიურ პროცესს; ასევე, შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენას დარგის განვითარებაზე, როგორც ერთ უკიდურესობას - ანკლავური მდგომარეობიდან მეორე უკიდურესობამდე - სრულ ინტეგრაციამდე.

ადგილობრივი აქტივების გაფართოება. აღნიშნული პროცესი ახორციელებს „IDP“-ის ოპერაციონალიზაციას იმ მექანიზმების ილუსტრირებით, რომლითაც შეიძლება მოხდეს ადგილობრივი დარგების მოდერნიზაცია, უცხოურ და ადგილობრივ ფირმებს შორის ურთიერთქმედების შედეგად. პროცესი მოიცავს ოთხ სხვადასხვა ეტაპს. თითოეული ეტაპი წარმოადგენს ნაბიჯს ადგილობრივი ფირმების ან/და უცხოური ფილიალის „O“-სპეციფიკური უპირატესობების მოდერნიზაციისკენ.

1. საინვესტიციო მოდელირების პირველი ეტაპი: ფილიალის შესვლა უცხოურ ბაზრებზე.

2. უცხოური ფილიალი შედის მიმღებ ეკონომიკაში და შეაქვს გარკვეული „O“ - სპეციფიკური უპირატესობები. ეს უპირატესობები უნიკალურია კონკრეტული ფირმისთვის და არაა ხელმისაწვდომი ადგილობრივი ფირმებისთვის. პირველ ეტაპზე, საწყისი პოზიციაა ანკლავის პოზიცია, სადაც მისი O-უპირატესობების განახლებით სარგებელს იღებს მხოლოდ ფილიალი, სრული ინტერნალიზაციის გამოყენების გზით.
3. მეორე ეტაპი: კავშირების ჩამოყალიბება.
4. მესამე ეტაპი: „O“-სპეციფიკური უპირატესობების დიფუზია და გადაცემა.
5. მეოთხე ეტაპი: საკუთრების უპირატესობების გაფართოება. პროცესის ბოლო ეტაპზე ადგილობრივი ფირმა ან/და უცხოური ფილიალი შეძლებს, გაზარდოს მისი „O“-უპირატესობები უცხოურ ფილიალებთან პირდაპირი და არაპირდაპირი კავშირების შედეგად.
6. ამ პროცესის დასრულებისას, სკოტ-კენელი ვარაუდობს, რომ საბოლოო ზემოქმედება ადგილობრივ ინდუსტრიაზე განისაზღვრება ადგილობრივი ფირმის შესაძლებლობებით და ადგილობრივი ფირმების და ფილიალის ერთობლივი საქმიანობით.

ადგილობრივი ინდუსტრიის მოდერნიზაციის დიაგრამული მოდელი. აღნიშნული მოდელის მეტი თვალსაჩინოებისთვის სკოტ-კენელი დიაგრამის სახით წარმოგიდგენს უცხოურ ფილიალსა და ადგილობრივ ეკონომიკას შორის კავშირის ხარისხს („DOL“). ასეთ შემთხვევაში, მოდელი მოქმედებს, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი, ადგილობრივ ეკონომიკასთან უცხოური ფილიალის კავშირების ხარისხის (DOL)-ის შესაფასებლად.

სქემაზე N1 წარმოდგენილია დიაგრამული მოდელი. ზედა ნაწილში მოცემულია კავშირების ხარისხი - „DOL“ ანკლავიდან სრულ ჩართულობამდე. ანკლავის სცენარის მიხედვით, უცხოური ფილიალი ახდენს მისი „O“-უპირატესობების პირდაპირ

ინტერნალიზაციას და არ ქმნის პირდაპირ კავშირებს ადგილობრივ ფორმებთან.

მარჯვნივ გადაადგილებასთან ერთად, კავშირების ხარისხი იზრდება. მაგალითად, ფილიალმა შეიძლება დაამყაროს დინების მიმართულებით კავშირები ადგილობრივ ფორმებთან, ინვესტირების საწყის ეტაპზე, რაც წარმოადგენს ადგილობრივი გამოცდილების და ცოდნის მქონე ფირმისგან სწავლის გზას.

ამ სცენარში, მოდელის მიხედვით, „DOL“ უფრო მაღალია, ვიდრე ანკლავის სცენარში და უფრო დაბალი, ვიდრე განვითარების სცენარში ანუ „DOL“ საშუალოა.


კონტინუუმის მეორე ბოლოში „DOL“ მაღალია. ამ სცენარში ფილიალი ქმნის მაღალი ხარისხის კავშირებს - ალიანსებს, რაც გულისხმობს მისი „O“-უპირატესობების ნაწილობრივ ინტერნალიზაციას. ამ მომენტში „O“-უპირატესობების გადაცემა ფილიალსა და ადგილობრივ ფირმას შორის ორმხრივია.

კონკრეტულად, სქემაზე წარმოდგენილია კავშირების ხარისხის სამი შესაძლო სცენარი, რომლებიც დაკავშირებულია კავშირების ზემოთ აღწერილ სამ კატეგორიასთან, სახელდობრ, დაბალ, საშუალო და მაღალი ხარისხის კავშირებთან. (იხ. სქემა 1.)

მართვის გაუმჯობესების პროცესი. სქემა 2-ში ასახულია დამოკიდებულება ფილიალის „OLI“ კონფიგურაციებსა და ადგილობრივ ფორმებს შორის; ასევე, წარმოდგენილია ადგილობრივ ფორმებთან კავშირის სამივე ტიპი. შემოთავაზებულია განვითარების ევოლუციური სცენარი, სხვადასხვა ტიპის კავშირების სხვადასხვა ადგილას განთავსებით.

როდესაც ფილიალი დაამყარებს უფრო კომპლექსურ კავშირებს ადგილობრივ ფორმებთან, უფრო მეტად იქნება ინტეგრირებული ადგილობრივ ეკონომიკაში და შესაბამისად, ამაღლდება ადგილობრივი ინდუსტრიის მოდერნიზაციის პოტენციალი.

**ადგილობრივი დარგის მოდერნიზების საინვესტიციო მოდელი
(კავშირების დონე და კავშირების ტიპი)**



საბოლოო ჯამში, ადგილობრივი ინდუსტრიის მოდერნიზაციის სკოტ-კენელის (2001) მოდელი შეიცავს განვითარების ევოლუციურ სცენარს, რომელშიც კავშირის თითოეული ტიპი და კავშირების დონე დაკავშირებულია სხვადასხვა „OLI“-ის კონფიგურაციებთან. ანუ მოდელი ვარაუდობს, რომ შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში პოზიტიურადაა დამოკიდებული კავშირების და ფირმის დონეზე, რაც ამავე დროს დამოკიდებულია ფილიალების „OLI“-ის კონფიგურაციაზე.

შესაბამისად, აქვე ისმის კითხვა: შესაძლებელია, თუ არა მოდელის გამოყენება საქართველოსთან მიმართებაში?

ნაშრომში განხილული იქნება რამდენიმე ფაქტორი, რომლებმაც შეიძლება განმსაზღვრელი როლი შეასრულოს კავშირების ფორმირების პროცესში. კონკრეტულად, მასში განსაზღვრულია უცხოური ფილიალის ან მიმღები ეკონომიკის („L“-ფაქტორების) მახასიათებლებთან დაკავშირებული ფაქტორები.

სკოტ-კენელმა წარმოადგინა სქემა, მიმღები ქვეყნების ინდუსტრიაში მრავალნაციონალური საწარმოების როლის ანალიზისთვის, მისი შედეგების და დასკვნების სქემატურად წარმოსადგენად. სქემა მოიცავს ადგილობრივი მრეწველობის მოდერნიზაციის მოდელს ტრანსნაციონალური დამოკიდებულებების თვალსაზრისით და განსაზღვრავს როგორც პუი-ის ცვლადებს, ასევე ცვლადებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული პუი-სთან. „ESP“ პარადიგმის რუბრიკით სქემა მოიცავს ეკონომიკურ სისტემებს და მთავრობის პოლიტიკას, როგორც კავშირების ფორმირების პოტენციურ დეტერმინანტებს.

ადგილობრივი მრეწველობის მოდერნიზაციის სკოტ-კენელის საინვესტიციო მოდელი განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში. მოდელი ახდენს კავშირების დონის ილუსტრირებას ერთი უკიდურესობიდან - ანკლავური მდგომარეობიდან, მეორე უკიდურესობამდე - პუი-ს საშუალებით განვითარებამდე. საზოგადოდ, განვითარებადი ქვეყნები ხასიათდება პასიური ინდუსტრიული კონტექსტით, სადაც ადგილობრივი შესაძლებლობები სუსტია და კერძო სექტორი - მცირე. პორტელი აღნიშნავს, რომ პუი-ის მოზიდვა ხდება ადგილობრივი „L“-სპეციფიკური უპირატესობებით, პირველ რიგში კი - ბუნებრივი რესურსებით. ამ ეტაზე, დამახასიათებელი „L“-სპეციფიკური უპირატესობები ადეკვატურია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, მაგრამ საკმარისად მიმზიდველი არაა ადგილობრივ ფირმებთან კავშირების დასამყარებლად. ეს ნიშნავს, რომ ანკლავურ ინვესტიციებს ადგილი აქვს იმ

შემთხვევებში, როდესაც სარგებელს იღებს მხოლოდ ფილიალი მისი O-უპირატესობების მოდერნიზაციით, სრული ინტერნალიზაციის გამოყენებით.

დაბალი კავშირების დონე (DOL). უცხოური ფილიალის მიმღებ ქვეყანაში შესვლის შემდეგ, უცხოური ფილიალი არსებული პირობების მიხედვით დაამყარებს კავშირებს ადგილობრივ ფირმებთან. განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში, მთავრობის პოლიტიკის და ინფრასტრუქტურის ასპექტში არსებული ცვლილებები, რომლებიც არაა განპირობებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, განსაზღვრავს დამყარებული კავშირების ხარისხს. დასაწყისში მოსალოდნელია მხოლოდ არაპირდაპირი კავშირები – ადგილობრივი მუშახელის დაქირავების და კონკურენციის ეფექტების სახით, რამდენადაც ამ ეტაპზე „L“-ფაქტორები არაა საკმარისად განვითარებული პირდაპირი კავშირების ხელშეწყობისთვის.

საშუალო კავშირების ხარისხი („DOL“). გაუმჯობესებული ეკონომიკური პირობები, მარეგულირებელი ბაზა, ადგილობრივი მრეწველობის სიმძლავრეები შეიძლება განაპირობებდეს შემდგომი კავშირების დაარსებას. ადგილობრივი პირობების გაუმჯობესების შედეგად, შესაძლებელი ხდება დინების საწინააღმდეგო და დინების მიმართულებით კავშირების დამყარება უცხოურ ფილიალსა და ადგილობრივ ფირმებს შორის. ამ კონტექსტში, კავშირების დონე („DOL“) და, შესაბამისად, ადგილობრივი მრეწველობის განახლების პროცესი განიხილება, როგორც საშუალო.

მაღალი კავშირების დონე („DOL“). კავშირების დონე მაღალია, როდესაც უცხოურ ფილიალსა და ადგილობრივ ფირმებს შორის დამყარდება მაღალი ხარისხის კავშირები; მაგალითად, ცოდნასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები ან თანამშრომლობის კავშირები. ამ ეტაპზე ადგილი აქვს O-უპირატესობების გაფართოებას და პუი-ის სრულ ჩართვას, რაც წარმოადგენს პუი-ის ოპტიმალურ ინტეგრაციას მიმღებ ეკონომი-

მიკაში. ამ შემთხვევაში (კავშირების მაღალ დონეზე) ითვლება, რომ ადგილობრივი მრეწველობის მოდერნიზაცია ძლიერია.


საბოლოო ჯამში, სხვადასხვა კავშირების რეალიზაცია და „O“-უპირატესობების შემდგომი მატება წარმოადგენს ურთიერთქმედებას ფილიალის „O“-უპირატესობებსა და მიმღები ეკონომიკის „L“-სპეციფიკურ უპირატესობებს შორის; ამასთანავე, „L“-ფაქტორების ცვლილება განსაზღვრავს „O“-უპირატესობების ცვლილებებს.

განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში, მემკვიდრეობით მიღებული ისეთი „L“-უპირატესობა, როგორიცაა ბუნებრივი რესურსების სიუხვე, იზიდავს მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. თუმცა, სუსტი ადგილობრივი პირობების შემთხვევაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კავშირებს არ ექნება ადგილი, თუ მიმღები ქვეყანა არ გააუმჯობესებს ადგილობრივ სიმძლავრეებს, პოლიტიკურ სისტემას და ინფრასტრუქტურას.

საკვლევი საკითხები და ვარაუდი. ზემოთ წარმოდგენილი სკოტ-კენელის საინვესტიციო მოდელში აღწერილია იმ პროცესის განსაზღვრული ეტაპები, რომლის მეშვეობითაც ადგილობრივი ფირმები ახდენენ თავიანთი „O“-უპირატესობების გაუმჯობესებას, უცხოურ ფილიალებთან კავშირების მეშვეობით. შემდეგ მოდელი გადაისინჯა, განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში. ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოდელი შეიძლება არ იყოს ადეკვატური ამ კონტექსტში, რამდენადაც არსებობს სხვა მნიშვნელოვანი ცვლადები, რომლებიც დაკავშირებულია მთავრობის პოლიტიკასთან და ეკონომიკურ გარემოსთან.

შესაბამისად, წარმოვადგინოთ კვლევის დაშვებები და საკითხები შეფასებისთვის. განვიხილოთ, შესაძლებელია თუ არა სკოტ-კენელის მოდელის გამოყენება განვითარებადი ქვეყნების და სახელდობრ, საქართველოს კონტექსტში.

მულტინაციონალური საწარმოების ინვესტიციური მოდელის ანალიზი მიმღები ქვეყნის დარგში



მომდევნო ნაბიჯია იმის შეფასება, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს პუი საქართველოს ადგილობრივ ინდუსტრიაზე. წამოდგენილია კვლევის დაშვებები და საკითხები, რომლებიც შეისწავლის პირდაპირ და არაპირდაპირ კავშირებს ფირმის დონეზე. კვლევა ჩატარდა სამ ეტაპად: ფილიალის პროფილი, კავშირების ფორმირების ზომა და განმსაზღვრელი ფაქტორები და კავშირების საერთო დონე.

მთავრობის პოლიტიკა. თეორიის მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედებას ახდენს არსებული პოლიტიკის მიმართულება. ზოგადად, არსებობს მოსაზრება, რომ საბაზრო ორიენტაციის მქონე ქვეყნებში, როგორც წესი, ეკონომიკური ზრდა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შიგნით ორიენტირებული ეკონომიკა. მართალია, საქართველო პოსტ საბჭოთა ქვეყნებიდან ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალიზებული ეკონომიკის მქონე ქვეყანად ითვლება, მაგრამ მისი ეკონომიკური მიდგომა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ, როგორც ჩანს, უფრო ნეო-სტრუქტურალიზმს შეესაბამება, ვიდრე ნეო-ლიბერალიზმს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი პოლიტიკა არაა იმდენად ნეიტრალური, რამდენადაც ამას ოფიციალურად აცხადებენ; შესაბამისად, შესაძლებელია, ზოგიერთ ასპექტში, მისი პოლიტიკური სისტემა ანელებდეს სკოტ-კენელის (2001) მოდელით დაშვებულ ადგილობრივი მრეწველობის მოდერნიზაციას, რაც გულისხმობს, რომ მთავრობის პოლიტიკამ შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს კავშირების ფორმირებაში.

მეთოდოლოგიისა და კვლევის აღწერა

ბუნებრივი და სოციალური მოვლენების განხილვა შესაძლებელია ფილოსოფიური ტერმინების გამოყენებით. ეს ტერმინები ასახულია კვლევითი საქმიანობისთვის შერჩეულ მეთოდოლოგიაში. არსებობს გარკვეული ძირეული განსხვავებები რაოდენობრივ და თვისობრივ კვლევებს შორის. ეს განსხვავებები, უპირველეს ყოვლისა, აისახება კვლევის შესახებ დაშვებების დონეზე (ეპისტემოლოგიური და ონტოლოგიური დაშვებები).

რაოდენობრივი კვლევა გულისხმობს პრობლემის გადაწყვეტის მიმართ ტრადიციულ სამეცნიერო მიდგომას, რომლის თანახმადაც, არსებობს ერთადერთი რეალობა და ის შეიძლება აღიწეროს ცვლადებით, რომლების მეშვეობითაც განისაზღვრება მიზეზი, შედეგი და ცვლადებს შორის დამოკიდებულება.

საპირისპიროდ, თვისობრივი კვლევა ეყრდნობა დაშვებას, რომ ადამიანების მიერ სამყაროს აღქმაში არსებობს რამდენიმე რეალობა. შესაბამისად, მოვლენების აღსაქმელად და გასაგებად საჭიროა სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიება და შემდგომ მისი აზრიანად გაერთიანება. ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი უპირველესი მეთოდია ადამიანებთან საუბარი. თვისობრივი ანალიზის დანიშნულებაა მოვლენის უფრო სიღრმისეული გაგება, იდეების, შეგრძნებების, მოტივაციებისა და დამოკიდებულებების შესახებ დეტალური მონაცემების შეგროვება და ანალიზი.

პ.გაური აღნიშნავს, რომ კონკრეტული სიტუაციების შესწავლა სასარგებლო მეთოდია საკითხის არსის შესასწავლად, მენეჯმენტის სიტუაციაში ან ახალ თეორიაში სიღრმისეულად გასარკვევად. კონკრეტული შემთხვევების კვლევა მოიცავს მონაცემების შეგროვებას ისეთი წყაროდან, როგორებიცაა ვერბალური ანგარიშები, პირადი ინტერვიუები, დაკვირვება და წერილობითი ანგარიშები. ამდენად, ამ მიდგომის ძირითადი

მახასიათებლებია საკვლევი ობიექტის სიღრმე და მასზე კონცენტრაცია და ეყრდნობა კვლევის ინტეგრაციულ ძალას, მრავალგანზომილებიანი ობიექტის კვლევის უნარს, შემდეგ კი - სხვადასხვა ელემენტების გაერთიანებას აზრიან ინტერპრეტაციად.

რ. ინის მიხედვით, კონკრეტული სიტუაციების კვლევა უფრო სასურველი მიდგომაა, ვიდრე „როგორ?“ და „რატომ?“ შეკითხვებზე პასუხი; არსებული კვლევის მახასიათებლების შესწავლა, რ. ინის კრიტერიუმების მეშვეობით, ადასტურებს, კონკრეტული შემთხვევების კვლევის მეთოდის ადეკვატურობას.

მას შემდეგ, რაც კონკრეტული შემთხვევების კვლევა განისაზღვრა, როგორც კვლევის საუკეთესო სტრატეგია, დაიგეგმა მონაცემების შეგროვებისა და ინტერპრეტაციის პროცესები. დიზაინის პროცესის განმავლობაში განიხილებოდა რამდენიმე საკითხი: სახელდობრ, წინასწარი სტრუქტურიზაციის ხარისხი, ანალიზის ერთეულის განსაზღვრა, კონკრეტული შემთხვევებისთვის ფორმების განსაზღვრა და კონკრეტული კვლევითი ინსტრუმენტების დეტალები.

კვლევის შედეგები

მეტა-მატრიცა: ქეისების პირველადი ერთობლივი განხილვა. მოცემულ თავში აღწერილია ქეისების საერთო ანალიზის პირველი ეტაპი, სადაც შემთხვევის შიდა ანალიზიდან გამომდინარე, განიხილება და ერთობლივად შეისწავლება: თითოეული ფილიალის პროფილი, კავშირების ფორმირება, კავშირების ფორმირების დეტერმინანტები და კავშირის ხარისხი. შემთხვევების პირველადი შესწავლისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური შემთხვევების შიდა ანალიზის ნაწილობრივ მოწესრიგებული მეტა-მატრიცა. მეტა-მატრიცაში შესულია ფირმის მახასიათებლების (ფილიალის პროფილი), არაპირდაპირი და პირდაპირი კავშირების (კავშირების ფორმირება), კავშირების დეტერმინანტებისა და კავშირების ხარისხისთვის განკუთვნილი სტრიქონები, რომლებიც ადრე გამოიყენებოდა შემთხვევის შიდა ანალიზისთვის. მოხდა შემთხვევის შიდა ანალიზის მონაცემების კომპრესია და შეტანა მეტა-მატრიცაში (მეტა-მატრიცა. (იხ. ცხრილი 1.)

ფილიალის პროფილი. ფირმის მახასიათებლების განხილვამ გვაჩვენა, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში ოპერირებს ორი ფირმა, ხოლო დანარჩენი ორი - მომსახურების სექტორში. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ფირმებს, რომლებიც ოპერირებენ მომსახურების სექტორში, ბაზრის ძიების მოტივაცია ამოძრავებთ. ამას გარდა, გარკვეული ზომით, ყველა ფირმა ეყრდნობა სათაო ფირმისგან მიღებულ რესურსებს, როგორც კონკურენტული უპირატესობის წყაროს. შესაბამისად, არც ერთ ფირმას არ განუხორციელებია ინვესტიციები საქართველოში ადგილობრივი ინოვაციების შექმნის ან განვითარების მიზნით. ამ საერთო მახასიათებლების მიუხედავად, ფილიალები განსხვავდება წარმოშობის ქვეყნის, ასაკის, შესვლის რეჟიმის, მფლობელობის ფორმის, ავტონომიის დონის, ფილიალის როლის და სიდიდის მიხედვით.

კავშირების ფორმირება. ქეისის ფორმების უმეტესობა წარმოადგენენ მსხვილ კონკურენტებს საქართველოში, ხოლო ის ფორმები, რომლებიც ადგილზე მცირე კონკურენტები არიან, ეკუთვნიან დიდ კორპორაციებს - მსხვილ საერთაშორისო მოთამაშეებს. შედეგად, სხვადასხვა ზომით, ყველა ფორმამ მოახდინა მათ შესაბამის სამუშაო სექტორებში ზემოქმედება კონკურენტულ გარემოზე, უმთავრესად ინოვაციების დანერგვის გზით.

ცხრილი1

ქეისებს შორის ანალიზი: მეტა მატრიცა

ქეისი/ცვლადე ბი	"ჰიპი საქართველ ო"	"Aromaproduct"	სს "თელასი"	"პროკრედი ტ ბანკი"
ფილიალის პროფილი				
ძირითადი საქმიანობა	სოფლის მეურნეობა	სოფლის მეურნეობა	ენერგო სექტორი	ფინანსური სექტორი
ასაკი	7	29	17	16
შელწევის ფორმას	„გრინფილდ ი“	შერწყმა და შთანთქმა	შერწყმა და შთანთქმა	„გრინფილ დი“
საკუთრების ფორმა	ქართული ფილიალი	ქართული ფილიალი	ქართული ფირმა უცხოური ფირმის მფლობელო ბაში	ქართული ფილიალი
ავტონომია	მნიშვნელოვ ანი გავლენა	მნიშვნელოვ ანი გავლენა	ძლიერი გავლენა	ძლიერი გავლენა
ფირმის ზომა	საშუალო	საშუალო	მსხვილი	მსხვილი
ინვესტიციები ს მოტივაცია	ეფექტიანობ ის მადიებელი	ეფექტიანობ ის მადიებელი	ბაზრის მადიებელი	ბაზრის მადიებელი
სათაო ოფისის საკუთრების უპირატესობა	მრავალი	მრავალი	მრავალი	მრავალი
ინოვაციები	კი			დიახ, დედა კომპანა

ინვესტიციები ადგილობრივი ინოვაციების განსავითარებ ლად	არა	არა	არა	არა
კონკურენტუ ლი უპირატესობა	დედა კომპანიის	დედა კომპანიის	დედა კომპანიის	დედა კომპანიის
ძირითადი კონკურენტუ ლი უპირატესობა	მაღალი ხარისხის პროდუქტი, ეკოლოგიურ ად სუფთა პროდუქტი	მაღალი ხარისხის პროდუქტი	მენეჯერულ ი პრაქტიკა, თანამედროვე ტექნოლოგი ები	მომსახურე ბის ხარისხი, კვალიფიკა ცია, დახვეწილი , პროდუქტი
"O"-ს უპირატესობა, როგორც კონკურენტუ ლი უპირატესობი ს ძირითადი წყარო	თანამედრო ვე ტექნოლოგი ები; მენეჯერულ ი პრაქტიკა; ტრენინგი; ბაზრისდმი წვდომა	წვდომა ადგილობრი ვ რესურსებზე ; ტექნოლოგი ები; ინოვაციები;	მენეჯერულ ი პრაქტიკა	პროდუქტი ; გამოცდილ ება; ბაზრისადმ ი წვდომა

ქეისი/ცვლადებ ი	1	2	3	4
კავშირების ფორმირება				
ირიბი კონკურენტული უპირატესობა				
კონკურენტული პოზიცია	ძირითადი კონკურენტ ი საქართველო ში და საერთაშორ ისო ბაზრებზე	ძირითადი კონკურენტ ი საქართველ ოში	მსხვილი კონკურენტ ები საერთაშორ ისო ბაზარზე, ქართულ ბაზარზე კონკურენტ ების არ ქონა	მსხვილი კონკურენტე ბი როგორც შიდა, ასევე საზღვარგარ ეთის ბაზრებზე
კონკურენტული გარემო/კონკურე	საშუალო გავლენა		ძლიერი გავლენა	ძლიერი გავლენა

ნციის ცვლილება				(ნიშის სეგმენტი)
ინვესტიციები ადგილობრივ ინფრასტრუქტურასთან წვდომისათვის	არა	არა	არა	არა
პირდაპირი კავშირები				
მომხმარებლებთან კავშირები	10-ზე მეტი	10-ზე მეტი	10-ზე მეტი	10-ზე მეტი
მომწოდებლებთან კავშირები	კი	კი	კი	არც ერთი
ადგილობრივი მომარაგება	დამოკიდებული იყო როგორც სათაო ოფისზე, ასევე იყენებდა ადგილობრივ წყაროებს	სტანდარტული	სტანდარტული	სტანდარტული
სოციალური პასუხისმგებლობა	3-ზე მეტი	არც ერთი	3	3
ცოდნასთან დაკავშირებული შეთანხმებები	არა	არა	არა	არა
თანამშრომლობითი შეთანხმება	კი	არა	არა	კი
კავშირების ხარისხი	საშუალოზე მაღალი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალო

რაც შეეხება ადგილობრივ ფირმებთან პირდაპირ კავშირებს, თითქმის ყველა ფირმას, მათი სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, დამყარებული აქვს კავშირები მომხმარებლებთან და გარკვეული სახის დახმარებას უწევენ მომხმარებლებს ან/და მიმწოდებლებს. კომპანიები, უმთავრესად, კავშირებს ამყარებენ უცხოურ მიმწოდებელ ფირმებთან. ეს ფირმები ეხმარებიან მიმწოდებლებს უზრუნველყონ მათი სპეციფიკური მოთხოვნილებების თანმიმდევრულად დაკმაყოფილება.

ნიმუშში შეტანილ არც ერთ ფირმას ცოდნასთან დაკავშირებული ხელშეკრულება არ აქვს გაფორმებული. მეორეს მხრივ, მათ ნახევარზე მეტს გაფორმებული აქვს რაიმე სახის ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ. უმეტესობას კი, თანამშრომლობის ხელშეკრულება დადებული აქვს ადგილობრივ უნივერსიტეტებთან.

და ბოლოს, მონაცემების შეგროვების პროცესში დაფიქსირდა კავშირების ახალი ტიპი, რომელიც ითვალისწინებს ცოდნის და საექსპერტო კვალიფიკაციის გადაცემას უცხოური ფილიალისგან ადგილობრივი ინდუსტრიისთვის. ასეთი კავშირები ჩვენ განვსაზღვრეთ, როგორც კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (“CSR”) კავშირები. შემთხვევების უმეტესობაში, ცოდნის და გამოცდილების გადაცემა ხდება პროექტების მეშვეობით და არ ითვალისწინებს პირდაპირ ურთიერთობას ადგილობრივ ფირმებთან.

კავშირების ფორმირების დეტერმინანტები და კავშირის ხარისხი. ყველა ფირმას დამყარებული აქვს საინვესტიციო პროექტების რელიაზაციის შედეგად პირდაპირი კავშირები ადგილობრივ კომპანიებთან. შედეგად, არ შეიძლება ითქვას, რომ ქეისის რომელიმე ფირმას დაბალი ხარისხის კავშირი აქვს. ე.ი. ყველა ფირმას აქვს ან საშუალო ან მაღალი ხარისხის კავშირი, კვლევით მოდელში შემოთავაზებული კლასიფიკაციის შესაბამისად. ეს სიტუაცია განპირობებულია ნიმუშში შემავალი ყველა ფირმის პროდუქტის ან მომსახურების მახასიათებლით რომელიც, როგორც წესი, განაპირობებს კავშირების დამყარებას მომხმარებლებთან (საშუალო კავშირები).

ქეისებს შორის კანონზომიერების მიება. ქეისებს შორის კანონზომიერების უკეთ დასადგენად ნიმუშის ფარგლებში განისაზღვრა მსგავსი ქეისების ჯგუფები. შედეგად, ანალიზის პროცესი, ოთხი საინვესტიციო პროექტის ქეისის განხილვის ნაცვლად დაყვანილ იქნა სამი ჯგუფის ანალიზზე. ქვემოთ პუნქტში განხილულია იმ სისტემის შერჩევის პროცესი, რომლის ფარგლებშიც მოხდება მსგავს ფირმათა ჯგუფების განსაზღვრა

და კლასიფიკაცია. მსგავსი ქეისების ჯგუფების განსაზღვრისთვის, ნიმუშის ფარგლებში, გამოყენებულ იქნა ცხრილი 1-ში წარმოდგენილი ნაწილობრივ მოწესრიგებული მეტამატრიცა.

ფირმების მახასიათებლების განსაზღვრისათვის თავდაპირველად მოხდა კონცენტრირება ფილიალის პროფილებზე და შემდგომ მათი ჩართვის ხარისხზე, კავშირების ფირმირების საფუძველზე.

შემდგომ განხილულია ფილიალის ძირითადი საქმიანობა კლასტერიზაციის მიხედვით. კლასტერიზაციის პირველი მცდელობაა წარმოშობის ქვეყნის მიხედვით და ადეკვატური საწყისი წერტილია, თუ არა. თითოეული ჯგუფის ფარგლებში დაფიქსირდა გარკვეული მსგავსებები ფირმების საქმიანობაში.

ქეისების ჯგუფში, ოთხი ფირმიდან ორი დაკავებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებით, მესამე - არის ბანკი, მეოთხე ფირმა კი უზრუნველყოფს ელექტროენერგიის განაწილებას და გასაღებას. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფირმის საქმიანობა დიდად არ არის დამოკიდებული წარმოშობის ქვეყანაზე.

ფირმების ქვეყნებსა და მათ ძირითად საქმიანობას შორის მკაფიო დამოკიდებულების არარსებობის პირობებში, განვიხილეთ მათი ასაკი, ქვეყანაში შესვლის რეჟიმი და მფლობელობის ფორმა. ფილიალების ასაკის (რამდენი ხნის განმავლობაში ოპერირებს ფილიალი საქართველოში), ძირითად საქმიანობასთან ერთად, შესვლის რეჟიმის და საკუთრების ფორმის განხილვისას აღმოჩნდა, რომ არსებობს ამოცნობადი სურათი; მომსახურების სექტორებში ოპერირებადი ფირმები ხასიათდება ერთნაირი ასაკით, თუმცა განსხვავებულია შესვლის რეჟიმი და საკუთრების ფორმა.

ჯგუფებად შესაძლო კლასიფიკაციის შემდგომი განხილვა კონცენტრირებულია ფირმის სიდიდეზე, ავტონომიის დონეზე,

ინვესტირების მოტივზე, ფილიალის როლზე, ადგილობრივი ინოვაციის მიღების ან შემუშავების მიზნით ინვესტირებაზე, ინოვაციებისა და ძირითადი კონკურენტული უპირატესობების წყაროზე. ამ ცნებებიდან გამომდინარე, ინვესტირების მოტივები და ინვესტირება ადგილობრივი ინოვაციების მიღების ან შემუშავებისთვის, არ იცვლება სხვადასხვა ქეისებში.

პირდაპირი კავშირების ფორმირების განხილვისას, პირველად განიხილება მომხმარებლებთან კავშირების მასშტაბი და ხარისხი. ფირმებს შორის კლიენტებისთვის გაწეული დახმარების მოცულობა და ტიპი სხვადასხვაა, ყოველგვარი მკაფიო კანონზომიერების გარეშე.

როგორც კვლევით მოდელში იყო კონცეპტუალურად წარმოდგენილი, ფილიალის კავშირის ხარისხი („DOL“) შეიძლება იცვლებოდეს ანკლავის პოზიციიდან (სადაც ძალზე ცოტა არაპირდაპირი თუ პირდაპირი კავშირი არსებობს) სრულ ინტეგრაციამდე, სადაც ფილიალი მონაწილეობს ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობის ხელშეკრულებებში ადგილობრივ პარტნიორებთან. მოკლედ, კავშირების დონე („DOL“) უნდა განისაზღვროს სამ ცალკეულ ეტაპზე:

- **დაბალი**, როდესაც კავშირები ან უმნიშვნელოა, რის საფუძველზეც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფილიალი მოქმედებს ანკლავის გარემოში, ან შეზღუდულია არაპირდაპირი კონკურენტული ეფექტებით;
- **საშუალო**, როდესაც ფილიალი მონაწილეობს როგორც მომხმარებლებთან კავშირებში, ასევე მომწოდებლებთან კავშირებში, ადგილობრივ ფილიალებთან ან/და „CSR“ კავშირებში, როგორც ნავარაუდევია მონაცემთა შეგროვების პროცესში;
- **მაღალი**, როდესაც ფილიალები უფრო ახლო ურთიერთობებს ამყარებენ ადგილობრივ ფირმებთან, ცოდნის თაობაზე ხელშეკრულებების ან თანამშრომლობის ხელშეკრულებების მეშვეობით.

საწყისი მოსაზრება ფირმების პოტენციური კლასიფიკაციის თაობაზე, ვარაუდობს სამ პოტენციურ სტრუქტურას: პირველი ეყრდნობა ფირმის მახასიათებლებს (ან ფილიალის პროფილს), მეორე - პირდაპირი კავშირების ფორმირებას, მესამე კი - კავშირის ხარისხს. ამ პოტენციური სტრუქტურებიდან კავშირების დონის („DOL“) სტრუქტურა ეყრდნობა პირდაპირი კავშირების ფორმირების კონცეფციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირდაპირი კავშირის ფორმირების სტრუქტურა შედის კავშირების დონის („DOL“) სტრუქტურაში, რამდენადაც ეს უკანასკნელი ახდენს პირველი სტრუქტურის სინთეზირებას, ვინაიდან უფრო კარგად წარმოაჩენს ფილიალის ადგილობრივ დარგში ჩართულობის ხარისხს არჩეული საინვესტიციო მოდელის საშუალებით.

ფილიალის პროფილის სტრუქტურის და კავშირების დონის („DOL“) სტრუქტურის შედარებისას, არსებობს ორი ძირითადი არგუმენტი, რათა უკანასკნელი სტრუქტურა („DOL“) მიღებულ იქნას, როგორც საფუძველი, ფირმების კლასიფიკაციისა და ანალიზისთვის, ქეისების მთელს ერთობლიობაში: კვლევის პირველი საკითხია უცხოური ფილიალის საქართველოს ინდუსტრიაში კავშირების ხარისხი და კავშირების ფორმირების დეტერმინანტები ინვესტიციების განხორციელების საშუალებით, იმის გასარკვევად, თუ როგორ ახდენს ზემოქმედებას პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ადგილობრივი ინდუსტრიის განახლებაზე. ამ თვალსაზრისით, კავშირების ხარისხის საფუძველზე, ფირმების კლასიფიკაციის მემვეობით შესაძლებელია განისაზღვროს ის ფაქტორები, რომლებიც განსხვავდება ფირმების სხვადასხვა ჯგუფებში და ასახავს განსხვავებებს, კავშირების ხარისხის თვალსაზრისით. ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია იმ ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც დაკავშირებულია ჩართვის გარკვეულ დონესთან; მეორე, მართალია ფილიალების პროფილების საფუძველზე აგებული სტრუქტურა უზრუნველყოფს მსგავსი მახასიათებლების მქონე ფირმების ჯგუფების განსაზღვრას, ცვლადების ფართო სპექტრზე დაყრდნობით, ის შეზღუდულია, რამდენადაც ვერ ავლენს მკაფიო დამოკიდებულებას ფირმის

მახასიათებლებსა და ადგილობრივ ინდუსტრიაზე ზემოქმედებას შორის.

ქეისების და ჯგუფების იდენტიფიკაცია. ახლა კი, დავაჯგუფოთ ქეისის ფორმები მსგავსი მახასიათებლების მიხედვით ზემოთ განსაზღვრული კავშირების ხარისხის სისტემის გამოყენებით. ეს სისტემა განსაზღვრავს ადგილობრივ დარგებში ჩართვის სამ დონეს, ფირმის მიერ დამყარებული კავშირების ზომის და ხარისხის საფუძველზე. ამ ცნებების განსაზღვრისას გამოიყენება კავშირების ზომა და ხარისხი, ინფორმატორების გაგება და დამატებითი მონაცემები, რათა ანალიზი არ მოსწყდეს ქეისის თითოეული ფირმის კონკრეტულ გამოცდილებას.

კავშირის ხარისხის ცნება პირდაპირაა დაკავშირებული კავშირის ფორმირების ცნებასთან. ეს ნიშნავს, რომ უცხოური ფილიალის მიერ დამყარებული კავშირების ზომა და ხარისხი განსაზღვრავს მისი კავშირის ხარისხს ადგილობრივ ეკონომიკასთან.

ინფორმატორების მიერ კავშირების ფორმირების ცნების გაგების საფუძველზე, ქეისში განხილულმა ფირმებმა განსაზღვრეს ურთიერთობები მომწოდებლებთან, კლიენტებთან, მონათესავე დარგის ფირმებთან, კვლევით დაწესებულებებთან, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებთან. ამ ურთიერთობების ზომა და ხარისხი უჩვენებს, რომ ქეისის ფირმების კავშირი საშუალო ხარისხიდან მაღალ ხარისხამდეა.

ქეისის ის ფირმები, რომელთა მონაწილეობა ადგილობრივ ეკონომიკაში შემოიფარგლება უმნიშვნელო კონკურენტული ეფექტებით ინდუსტრიაში და რამდენიმე კავშირით ადგილობრივ ორგანიზაციებთან, საშუალო ხარისხის კავშირით ხასიათდებიან. მეორეს მხრივ, ფირმები, რომლებიც მნიშვნელოვან კონკურენტულ ზეგავლენას ახდენენ დარგზე და დამყარებული აქვთ როგორც საშუალო, ასევე მაღალი დონის კავშირები, ხასიათდებიან კავშირის მაღალი დონით.

აღნიშნული კატეგორიზაცია ითვალისწინებს ქეისის ფორმების კლასიფიკაციას ორ ჯგუფად - საშუალო და მაღალი ხარისხის კავშირების საფუძველზე - იმის მიხედვით, დაამყარა თუ არა ფილიალმა მაღალი ხარისხის კავშირები საინვესტიციო პროექტების რეალიზაციით.

ფილიალის კავშირების დონის შესაფასებლად უფრო მრავალმხრივი კრიტერიუმის გამოყენებით შესაძლებელი ხდება, განისაზღვროს ფირმათა სამი ჯგუფი. ამ თვალსაზრისით, მათი კავშირების დონის მიხედვით ფირმების დასაჯგუფებლად შერჩეულ იქნა რიგი ცვლადები, თითოეული ფირმის კავშირის საერთო დონის შესაფასებლად; ე.ი. ცვლადები მოიცავს როგორც ფორმირებული კავშირების რაოდენობას (რაც განისაზღვრება კლიენტებთან, მომწოდებლებთან /ქვეკონტრაქტორებთან, სხვა ორგანიზაციებთან/ფირმებთან და თანამშრომელ პარტნიორებთან დამყარებული ურთიერთობების რაოდენობით) და ამ კავშირების ხარისხს. ამას გარდა, გათვალისწინებულია კონკურენტული კავშირები, ფირმის კავშირების საერთო დონის შესაფასებლად.

კონკრეტულად, კავშირის საერთო დონის შეფასებისთვის გათვალისწინებულია ხუთი ტიპის კავშირები: 1. კონკურენტული კავშირები; 2. მომხმარებლებთან კავშირები; 3. მიმწოდებლებთან კავშირები; 4. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კავშირები; 5. თანამშრომლობის კავშირები.


ფილიალის საერთო კავშირების დონის შეფასება ხდება თითოეული ტიპის კავშირისთვის ფილიალის შეფასების ქულების შეკრებით. ეს ნიშნავს, რომ თითოეული ტიპის კავშირის ენიჭება ქულები, ერთი ცვლადის ან ცვლადების ერთობლიობის მიხედვით (გაზომილი დამოუკიდებელი ცვლადების ნუსხა იხ. ცხრილი 2, ცხრილი 1), ხოლო შეფასების კრიტერიუმები - თავში კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ), რაც, ერთობლივად, განსაზღვრავს ფილიალის მიერ დამყარებული კავშირების ზომასა და ხარისხს.

**დამოუკიდებელი ცვლადები დიაპაზონების მიხედვით
კავშირების შესაფასებლად**

კავშირების ტიპები	დამოუკიდებელი ცვლადები
კონკურენტული კავშირები	<p>გავლენა:</p> <ul style="list-style-type: none"> • კონკურენტულ ცვლილებებზე.
მომწოდებლებთან კავშირები	<ul style="list-style-type: none"> • ქართულ ფირმებზე დამოკიდებულება (ადგილობრივი მომარაგების სისტემა); • მომწოდებლებთან ურთიერთობა; • მოცემული მომწოდებლებისათვის დახმარების გაწევა.
მომხმარებლებთან კავშირები	<ul style="list-style-type: none"> • კლიენტებთან ურთიერთობა (რაოდენობა); • კლიენტებისათვის დახმარების გაწევა.
ერთობლივი კავშირები	<ul style="list-style-type: none"> • სულ ერთობლივი შეთანხმებები (რაოდენობა); • რესურსების ტრანსფერი

კავშირების დონის ქულების გარდა, თითოეულ ფირმას მიენიჭა „ხარისხისა და სიხშირის ქულები“. (ქეისის ფირმების ქულები იხ. დანართში) თითოეული ფირმისთვის, ხარისხის ქულა წარმოადგენს მიმწოდებლების/ქვეკონტრაქტორების, კლიენტების, კორპორაციული, სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ორგანიზაციების, გაწეულ დახმარებათა სხვადასხვა ტიპების რაოდენობის და თანამშრომელი პარტნიორებისთვის ფილიალის მიერ გადაცემული რესურსების რაოდენობის შეფასებათა ჯამს. „ზომის ქულები“ წარმოადგენს იმ ქულათა ჯამს, რომლებიც მიენიჭა კლიენტებთან და მიმწოდებლებთან ურთიერთობების რაოდენობის, სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების რაოდენობის და ადგილობრივ მიღებული პროდუქტების/მომსახურების ტიპების მიხედვით.


ფირმების კლასტერიზაციასკოტ-კონელის საინვესტიციო
მოდელის მიხედვით



ფირმების კლასიფიკაცია კავშირების ხარისხის
მიხედვით

არაპირდაპირი კავშირები O-ს
უპირატესობის დიფუზია

პირდაპირი კავშირები O-ს
უპირატესობის ტრანსფერი



ფირმებს შორის კავშირების ხარისხის და სიხშირის განსხვავებების გასარკვევად გამოყენებულია არაფორმალური გაბნევის დიაგრამა (იხ. დიაგრამა 1). ამ დიაგრამაზე ქეისის ფირმების მდებარეობის მიხედვით მკაფიოდ განისაზღვრება სამი ჯგუფი: პირველ ჯგუფში შედის ფირმა N2, რომლის ქულები საშუალოზე დაბალია; ასევე, საშუალოზე დაბალია ხარისხის ქულებიც; მეორე ჯგუფში შედის ფირმები N3 და N4, საშუალოზე დაბალი ზომის ქულებით და საშუალოზე მაღალი ხარისხის ქულებით; მესამე ჯგუფში შედის ქეისის ფირმა N1, საშუალოზე მაღალი ზომის ქულებით და საშუალოზე მაღალი ხარისხის ქულებით.

ცნებების გაგება. ანალიზის ფარგლებში მსგავსი მახასიათებლების ფირმების დაჯგუფებამ განსაზღვრა ინსტრუმენტი კვლევის შემდგომი ფოკუსირებისთვის. გაანალიზებულია, თუ როგორ მოხდა შემდგომი ფოკუსირება საკვლევი ცვლადების განხილვით თითოეულ ჯგუფში და შემდეგ, მიღებული შედეგების გამოყენება ყველა ფირმაში ცვლადების შესასწავლად. ამ ანალიზის შედეგად, უფრო გასაგები გახდა ცვლადები თითოეულ ჯგუფში და ასევე ის თვისებები, რომლებიც საერთო აქვს ყველა ფირმას.

ფირმების დაჯგუფების საშუალებით, ასევე ქეისების ანალიზის შედეგად მიღებული მოკლე ფორმით წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, შედგენილია მეტა-მატრიცა (იხ. ცხრილი 1).

ეს მოწესრიგებული მეტა-მატრიცა საფუძვლად იქნა აღებული ფირმების თითოეულ ჯგუფზე კონცენტრაციისთვის, ფილიალის პროფილის, დამყარებული კავშირების, კავშირების დეტერმინანტების მიხედვით და გამოყენებულ იქნა კვლევის სტრუქტურის შესაქმნელად. ცხრილი, რომელშიც შეტანილია ფირმები დისკრეტულ ჯგუფებად, საშუალებას გვაძლევს, უფრო ღრმად და კონცენტრირებულად გავერკვეთ ცნებებში თითოეული ჯგუფის ფარგლებში და ჩავატაროთ შემდგომი ანალიზი ფირმების მთლიანი ერთობლიობისთვის.

კავშირების დეტერმინანტები: წარმოშობა და ზეგავლენა. მონაცემთა შეგროვების და ქეისების ანალიზის მიმდინარეობის კვალდაკვალ, განისაზღვრა კავშირების ფორმირების დეტერმინანტები, თითოეული ტიპის კავშირისთვის. ე.ი. თითოეულ ფირმაში განისაზღვრა რიგი ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს მომხმარებლებთან კავშირების, მიმწოდებლებთან კავშირების, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კავშირების ან/და თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფორმირებაზე. ამას გარდა, თითოეული ფირმისთვის განისაზღვრა ამ ფაქტორების ზეგავლენა კავშირების ფორმირებაზე, როგორც დადებითი, უარყოფითი ან ორივე ერთად.

ანალოგიურად, გარკვეული ფაქტორი შეიძლება დადებით ან უარყოფით გავლენას ახდენდეს გარკვეული ტიპის კავშირის ფორმირებაზე და ამასთან, სხვა ტიპის კავშირის ფორმირებაზე მისი გავლენა საპირისპირო იყოს.

ქეისის ფარგლებში ანალიზისას განსაზღვრული დეტერმინანტების საერთო ანალიზის დროს განსაზღვრულ დეტერმინანტებთან ერთობლივად განხილვის შედეგად, განისაზღვრა დეტერმინანტების ორი ძირითადი ჯგუფი, მათი წარმოშობის მიხედვით: 1. არსებობს უცხოური ფილიალის მახასიათებლებთან დაკავშირებული ფაქტორები (პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული ცვლადები); 2. საქართველოს ადგილმდებარეობის უპირატესობებით განპირობებული დეტერმინანტები, ანუ ცვლადები, რომლებიც არაა დაკავშირებული პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან, ადგილობრივი ფირმის შესაძლებლობებთან, მარეგულირებელ ბაზასთან და ა.შ. ეს ჯგუფები ემთხვევა კვლევის მოდელში შემოთავაზებულ ჯგუფებს.

და ბოლოს, შედარებულია ფირმების ფილიალების პროფილები, იმ ფაქტორების განსაზღვრის მიზნით, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს კავშირის გარკვეულ დონესთან, ე.ი. უცხოური ფილიალების მახასიათებლები, რომლებიც შეიძლება

მოქმედებდეს, როგორც კავშირების ფორმირების დეტერმინანტები.

განსჯა და მეცნიერული მიგნებები

ნაშრომში საერთაშორისო ფირმების საინვესტიციო საქმიანობის შედეგები გაანალიზდა შემდეგი პარამეტრების მიხედვით: ფილიალის პროფილი, კავშირის ფორმირება, კავშირის ფორმირების დეტერმინანტები და კავშირის ხარისხი, რომლის საფუძველზე მოწესრიგებული მეტა-მატრიცა შემუშავდა. მეტა-მატრიცაში შეტანილია ფირმის მახასიათებლები (ფილიალის პროფილი), არაპირდაპირი და პირდაპირი კავშირები (კავშირების ფორმირება) კავშირების დეტერმინანტებისა და კავშირების ხარისხისთვის.

ფირმის მახასიათებლების განხილვამ გვიჩვენა, რომ ორი ფირმა მუშაობს სოფლის მეურნეობის ინდუსტრიაში, მესამე - ფინანსურ სექტორში, მეოთხე კი - ენერგეტიკის სექტორში. ნაშრომში განხილული ფირმები მოქმედებენ საქართველოში და გააჩნიათ როგორც ბაზრის, ასევე ეფექტიანობის მაძიებელი მოტივაცია.

ასევე, გარკვეულწილად, ყველა ფირმა ეყრდნობა სათავო ფირმისგან მიღებულ რესურსებს, როგორც კონკურენტული უპირატესობის წყაროს. შესაბამისად, არცერთ ფირმას არ განუხორციელებია ინვესტიციები საქართველოში ადგილობრივი ინოვაციების შექმნის ან განვითარების მიზნით. ამ საერთო მახასიათებლების მიუხედავად, ფილიალები განსხვავდება წარმოშობის ქვეყნის, ასაკის, ბაზარზე შეღწევის ფორმის, საკუთრების ფორმის, ავტონომიის დონის, ფილიალის როლის და სიდიდის მიხედვით.

ფილიალის პროფილი არის საფუძველი ადგილობრივი ინდუსტრიის განახლების პროცესის უფრო ღრმად გაგებისთვის; ყოველივე ეს ხორციელდება ფირმის მახასიათებლების

წარმოდგენით, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს კავშირის უფრო დაბალ ან მაღალ ხარისხთან. ეს ნიშნავს, რომ ფირმის მახასიათებლების კავშირების ფორმირებასთან და კავშირის ხარისხთან ერთად განხილვის მეშვეობით, შესაძლებელია ფირმების იმ მახასიათებლების განსაზღვრა, რომლებიც დამოკიდებულნი არიან კავშირის უფრო მაღალ ხარისხზე.

გამოკვლეული ფირმები ოპერირებენ სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკისა და საფინანსო სექტორებში, სადაც მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოვლინდა კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. ქეისში განხილული ფირმების უმეტესობა მსხვილი კონკურენტები არიან საქართველოში. შედეგად, მართალია, სხვადასხვა მასშტაბით, მაგრამ ყველა ფირმამ იმოქმედა შესაბამის სამუშაო სექტორებში კონკურენტულ გარემოზე, უმთავრესად, ინოვაციების დანერგვის გზით.

რაც შეეხება პირდაპირ კავშირებს ადგილობრივ ფირმებთან, მათი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, თითქმის ყველა ფირმას აქვს კავშირები მომხმარებლებთან მათთვის ან/და მიმწოდებლებისთვის გარკვეული სახის დახმარების გაწევის შედეგად. ფირმებმა კავშირები დაამყარეს, ძირითადად, იმ მომწოდებელ ფირმებთან, რომლებსაც უცხოელები ფლობენ და არაადგილობრივები. ეს ფირმები მომწოდებლებს ეხმარებიან მათი სპეციფიკური მოთხოვნილებების თანმიმდევრულად დაკმაყოფილებაში.

ყველა ფირმას პირდაპირი კავშირები აქვს ადგილობრივ კომპანიებთან. ამდენად, ქეისის რომელიმე ფირმის დაბალი ხარისხის კავშირზე საუბარიუ ადგილოა. ე.ი. ყველა ფირმას აქვს საშუალო ან საშუალოზე მაღალი ხარისხის კავშირი, კვლევით მოდელში შემოთავაზებული კატეგორიზაციის შესაბამისად. ეს სიტუაცია განპირობებულია ნიმუშში შემავალი ყველა ფირმის ოპერაციების ხასიათით, რომელიც, ჩვეულებრივ, უზრუნველყოფს კავშირების დამყარებას მომხმარებლებთან (საშუალო კავშირების).

მეცნიერული მიგნებები

- შემუშავებულია საერთაშორისო ფირმების საინვესტიციო საქმიანობის ინდივიდუალური შემთხვევების მეტა-მატრიცა, რომელიც დაჯგუფებულია თითოეული კატეგორიის ფარგლებში კონკრეტული ცვლადების გამოყენებით. (ფილიალის პროფილი, კავშირების ფორმირება, კავშირების დეტერმინანტები, კავშირების ხარისხი (დონე)).
- ნაჩვენებია, რომ საერთაშორისო ფირმების საინვესტიციო პროექტების წარმატება, ძირითადად, დამოკიდებულია ადგილმდებარეობის უპირატესობაზე. სწორედ რომ ადგილმდებარეობა განსაზღვრავს საერთაშორისო ფირმების საინვესტიციო პროექტების გრძელვადიანი რეალიზაციის მახასიათებლებს ადგილობრივ ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხის მიხედვით და ადგილობრივ მიმწოდებლებთან კავშირების ფორმირებით.
- გაანალიზდა ცალკეული საერთაშორისო ფირმების საინვესტიციო საქმიანობის კავშირების ხარისხი და კავშირების სიხშირე, შემუშავდა არჩეული ფირმების კლასტერიზაციის დიაგრამა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ საერთაშორისო ფირმების ადგილობრივ ეკონომიკაში დაბანდებული ინვესტიციების ეფექტიანობა და ინტეგრირების დონე და მისი გავლენა ადგილობრივი დარგის განვითარებაზე.
- საინვესტიციო საქმიანობის მოდელირების საფუძველზე დინების მიმართულებით და დინების საწინააღმდეგო კავშირების მიხედვით განისაზღვრა ფირმების იერარქიული მართვის ხარისხი, რომელიც რანჟირდება ანკლავური მდგომარეობიდან (სრული ინტერნალიზაცია) ნაწილობრივ ინტერნალიზაციის (ადგილობრივ დარგში ჩართულობის) მდგომარეობამდე.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ უცხოური ფილიალების მიერ განხორციელებული საინვესტიციო პროექტები, ძირითადად, განისაზღვრება ადგილმდებარეობის უპირატესობით. საქართველოში განხორციელებული საინვესტიციო პროექტები მოტივირებულია ბაზრის ან ბუნებრივი რესურსების ათვისებით. თუმცა ჩვენს მიერ განხილული ერთ-ერთი კონკრეტული შემთხვევისთვის მოტივი ეფექტიანობის ძიებაა. ამ ფირმის საქმიანობა ორიენტირებულია ექსპორტის საშუალებით როგორც შიდა, ასევე საგარეო ბაზრის ათვისებაზე; აქვს ძლიერი კავშირები როგორც მომწოდებლებთან, ასევე სხვა გარე პარტნიორებთან, თუმცა ცოდნასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები მცირეა, რაც ტექნოლოგიების გადაცემას ხელს არ უწყობს.

შესაბამისად, სამრეწველო პოლიტიკის შემუშავებისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია ტექნოლოგიური გარღვევა, როდესაც სპეციფიკური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ხდება. საინვესტიციო საქმიანობის მხარდაჭერას, ფაქტობრივად, არანაირი აზრი არ აქვს, როდესაც პოტენციურ უცხოელ ინვესტორსა და ფირმების ადგილობრივ ქსელს შორის შესაძლებლობების გარღვევა ძალზე დიდია. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ შესაძლოა ამგვარი უთანაბრობა კომპეტენციათა დონეში ვერ უზრუნველყოფდეს ადგილობრივი კავშირების ფორმირებას.

რთული საინვესტიციო პროექტების ეფექტიანი განხორციელებისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განათლების პოლიტიკას. განათლებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს აქტივების ფორმირებაში და ადგილობრივი ფირმების შესაძლებლობაში, შთანთქან ახალი ტექნოლოგიები და ცოდნა. კვლევამ დაგვანახა, რომ ადგილობრივი უნარებისა და კომპეტენციის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

სოფლის მეურნეობის სექტორში, რომელიც, ჩვეულებრივ, დამოკიდებულია ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაზე.

აუცილებელია, ავირჩიოთ პრიორიტეტული დარგები, რომელშიც საინვესტიციო პროექტები პუი-ს მეშვეობით რეალიზდება. ამ ამოცანას ემსახურება დარგობრივი და სექტორული პრიორიტეტების შემუშავება, პუი-ის დარგების რანჟირება სპეციალური მეთოდოლოგიის საფუძველზე. ასეთი მეთოდოლოგია შეიძლება დაეყრდნოს მიკრო ეკონომიკური ანალიზის ცნობილი ილეთების საფუძველს-როგორიცაა პორტფელური და კლასტერული ანალიზი, რომელსაც, ჩვეულებრივ, სტრატეგიულ მენეჯმენტში იყენებენ.

გამომდინარე იქიდან, რომ მულტინაციონალური საწარმოების საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობა განისაზღვრება ადგილმდებარეობის უპირატესობით სამრეწველო პოლიტიკის გატარებისას, აუცილებელია ადგილმდებარეობის უპირატესობის ყველა ძირითადი პარამეტრის გაუმჯობესება.

Grigol Robakidze University

With the right of manuscript

Malkhaz Bakradze

Managing of the Company on the Modeling based of
Investment Activity

Educational programme: Business Administration

Thesis is presented for obtaining of the
PhD Degree in Business Administration

Abstract

Tbilisi

2021

Grigol Robakidze University

Scientific-supervisor
Davit Sikharulidze
Doctor of Economics,
Associate Professor

The date of dissertation defense will be published on the
University website www.gruni.edu.ge

The dissertation defense will held in Grigol Robakidze
